საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

შრომის პირობების ინსპექტირების
დეპარტამენტი

ერთად შევქმნათ უსაფრთხო სამუშაო გარემო!

ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული რეკომენდაციები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ლაბორატორიებისა და საგამოცდო ცენტრებისთვის

ძირითადი რეკომენდაციები:

- პედაგოგებისა და სტუდენტების მიღება სასწავლო დაწესებულებაში უზრუნველყავით წინასწარ განსაზღვრული გეგმის/ცხრილის მიხედვით;
- უზრუნველყავით ნაკადის კონტროლი უსაფრთხო დისტანციის დაცვით (არა უმცირეს 2მ);
- უზრუნველყავით სტუდენტთა განთავსება სასწავლო მაგიდებთან იმგვარად, რომ არ აღმოჩნდნენ ერთმანეთისა და პედაგოგის პირისპირ;
- ერთიან შესასვლელთან განახორციელეთ ვიდეოსკრინინგი ან თერმოსკრინინგი, რათა გააკონტროლოთ როგორც პედაგოგთა, ასევე სტუდენტთა ჯანმრთელობის მდგომარეობა ტემპერატურის გაზომვით. ცხელების დაფიქსირების შემთვევაში მოახდინეთ აღრიცხვა და დაუყოვნებლივ მიმართეთ 112-ის ცხელ ხაზს;
- სასწავლო დაწესებულებისა და სასადილოს შესასვლელში განათავსეთ დეზობარიერი, შესაბამისი სავალდებულო ნიშნის მითითებით;
- თვალსაჩინო ადგილას გამოაკარით ინფორმაცია COVID-19 ვირუსთან დაკავშირებული პრევენციული ღონისძიებების შესახებ;
- უზრუნველყავით პედაგოგთა და სტუდენტთა დაშვება სასწავლო დაწესებულებაში მხოლოდ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (ნიღბები, საჭიროების შემთხვევაში სახის ფარები/დამცავი სათვალეები);
- უზრუნველყავით პედაგოგები და სტუდენტები ხელის დაბანის გამართული საშუალებებით (ხელსაბანი ნიჟარა, თხევადი საპონი და ხელის გასამშრალებელი ერთჯერადი ხელსახოცები);
- სამუშაო ადგილებზე განათავსეთ ხშირად შეხებადი ზედაპირების დასამუშავებელი სადეზინფექციო საშუალებები და უზრუნველყავით მათი სწორად მოხმარების პრაქტიკა (შესაბამისი წესების შემუშავება და პედაგოგების/სტუდენტების ინფორმირება/ტრენირება);
- პერიოდულად, დღეში რამდენჯერმე, უზრუნველყავით სამუშაო სივრცეების ბუნებრივი ვენტილაცია;
- უზრუნველყავით გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა გამოყენებული ჰიგიენური ნარჩენებისთვის დახურული კონტეინერების განთავსება, რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პლასტიკური პაკეტი. ნარჩენების პარკის ამოღება და განკარგვა მოახდინეთ ერთჯერადი ხელთათმანების გამოყენებით. უზრუნველყავით ასეთი ნარჩენების დროული გატანა შესაბამისი პირის/სამსახურის მიერ;
- უზრუნველყავით საერთო სამუშაო ფართის ყოველდღიური დეზინფექცია;
- უზრუნველყავით სახელურების, ლიფტის ღილაკების, მოაჯირების, კარების სახელურების და ხშირად გამოყენებული ზედაპირების სანიტარული დამუშავება პერიოდულად (2 საათიანი ინტერვალებით);
- უზრუნველყავით სანიტარული წერტილების პერიოდული დეზინფექცია;
- უზრუნველყოს სამუშაო სივრცის სველი წესით დალაგება/დეზინფექცია ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-123/ო ბრძანების ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და მართვის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ შესაბამისი დანართით გათვალისწინებული წესით.

ვალდებულებები სასწავლო ლაბორატორიებისთვის

- პედაგოგები სამუშაო ადგილას გამოცხადნენ წინასწარ შედგენილი ცხრილის მიხედვით;
- პედაგოგები და სტუდენტები მაგიდებთან არ განათავსოთ ერთმანეთის პირისპირ;
- გამოიყენეთ პედაგოგებისა და სტუდენტებისთვის ცვლებში მუშაობის რეჟიმი;
- ინტენსიურად გამოიყენეთ ბუნებრივი ვენტილაცია;
- უზრუნველყავით სამუშაო ადგილზე ხელის პერიოდული დეზინფექციისთვის საჭირო სულ მცირე, 70% ალკოჰოლის შემცველი ან სხვა ანალოგიური ეფექტის მქონე ხელის დასამუშავებელი ხსნარის განთავსება;
- არ დაუშვათ სამუშაო სივრცეში პედაგოგები და სტუდენტები, სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, აუცილებელი ინდივიდუალური დაცვის საშუალების გარეშე, მათ შორის:
    - ნიღაბი;
    - ხელთათმანი;
    - სახის დამცავი ფარი;
    - საჭიროების შემთხვევაში, ბახილები;
    - სპეც. ტანსაცმელი/ხალათი;
- უზრუნველყავით გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა გამოყენებული ჰიგიენური ნარჩენებისთვის დახურული კონტეინერების განთავსება, რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პლასტიკური პაკეტი. ნარჩენების პარკის ამოღება და განკარგვა მოახდინეთ ერთჯერადი ხელთათმანების გამოყენებით. უზრუნველყავით ასეთი ნარჩენების დროული გატანა შესაბამისი პირის/სამსახურის მიერ;

ვალდებულებები საგამოცდო ცენტრებისთვის

- მაგიდების განლაგებისას გამოიყენეთ 2მ დისტანციის შესაძლებლობა;
- არ დაუშვით საგამოცო ცენტრში პედაგოგები და სტუდენტები ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გარეშე;
- სტუდენტები მაგიდებთან არ განათავსოთ ერთმანეთის პირისპირ;
- საგამოცდო ცენტრში სტუდენტების მისაღებად გამოიყენეთ ცვლებში მუშაობის რეჟიმი;
- ყოველი ცვლის შემდგომ გამოიყენეთ სანიტარული შესვენება;
- უზრუნველყავით საგამოცდო დარბაზის შეასვლელში ხელის დეზინფექციისთვის საჭირო სულ მცირე, 70% ალკოჰოლის შემცველი ან სხვა ანალოგიური ეფექტის მქონე ხელის დასამუშავებელი ხსნარის განთავსება;
- უზრუნველყავით გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა გამოყენებული ჰიგიენური ნარჩენებისთვის დახურული კონტეინერების განთავსება, რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პლასტიკური პაკეტი. ნარჩენების პარკის ამოღება და განკარგვა მოახდინეთ ერთჯერადი ხელთათმანების გამოყენებით. უზრუნველყავით ასეთი ნარჩენების დროული გატანა შესაბამისი პირის/სამსახურის მიერ;

პედაგოგთა და სტუდენტთა ვალდებულებები:

- დაიცავით ჰიგიენის წესები სასწავლო ორგანიზაციის სივრცეში;
- გამოიყენეთ სრულად ინდივიდუალური დაცვის საშუალებები;
- ჩაიტარეთ ხელების ადეკვატური ჰიგიენა (სპირტის შემცველი ხელის საწმენდი საშუალებების გამოყენება იმ შემთხვევაში, როცა ვერ ხერხდება ხელების დაბანა. ხილული დაბინძურების, ან ბიოლოგიური სითხეების მოხვედრისას ხელების წყლითა და საპნით დაბანა სავალდებულო წესით);
- მოერიდეთ ხელებით თვალებზე, ცხვირზე და პირზე შეხებას. მუშაობის პერიოდში უზრუნველყავით თმის შეკვრა/მჭიდროდ დამაგრება, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს თმების სახის ზედაპირთან შეხება (შესაძლებელია ჩაჩის, ან სპეციალური თავსაბურავის გამოყენება).